

Contract № Moms23/05/16

Between

25 May, 2016

SAKAERONAVIGATSIA Ltd. (legal address: Airport, 0198, Tbilisi, Georgia; identification code: 208144051), represented by the Director General, Mr. Gocha Mezvrishvili, on the one hand, (hereinafter referred to as the "Customer")

And

City Loft LLC (legal address: 14, Kostava Str., 0108 Tbilisi, Georgia; identification code: 404909934), represented by the General Manager, Mr. Levan Berulava on the other hand (hereinafter referred to as the "Hotel")

Procurement opportunity: Simplified procurement, the Law of Georgia on State Procurement, art. 10¹. Part. 3, sub-paragraph - "v".

Article 1. Subject of the contract

1.1 The Hotel undertakes to provide Banquet and Event services with the standard Food and Beverage package to Customer in accordance with the appendix # 1 (Banquet and Event proposal) on May 25, 2016 from 11:00 to May 25, 2016 15:00.

1.2 CPV code: № 55120000

1.3 Purchase registration request of the Customer: № 2016-16

Article 2. General Conditions and Contract price

2.1 The total contract price is 3351.20 (three thousand three hundred fifty one and twenty) Gel.

2.2 The price of the contract includes all the Taxes and expenses for fulfillment of all obligations defined in the contract.

2.3 All mentioned prices are subject to 18% VAT, unless otherwise stated. In case the government of Georgia changes the applicable taxes, the Hotel reserves the right to alternate the rates accordingly.

2.4 These terms and conditions cover any contract concerning the letting of conference rooms, training and banquet rooms belonging to the Hotel for the purpose of holding an event. They also apply to the services and deliveries connected there with.

2.5 It is under no circumstances permitted to sublet conference rooms, surfaces or display cases, not to send invitations for job interviews, sales exhibitions and the like to third parties without the written consent of the Hotel.

2.6 Terms and Conditions of the organizer shall not be applicable, unless agreed explicitly in writing

Article 3. Terms of Payment

3.1 The Hotel shall commit itself to provide the services ordered by the reserving party as agreed upon in the contract, The Customer is obliged to pay the amount due for these services in 5 Business days after Customer receives Invoice and signed take over certificate from the Hotel.

3.2 Invoices must be settled by the Hotel on maturation date or within 10 days upon the date of invoice without deduction.

3.3 In case of Customer's default to pay the invoice in time, the Hotel is entitled to charge interest of 0.1% for each month the invoice remains unsettled. The Organizer is entitled to produce evidence substantiating lower damages; the Hotel to produce evidence substantiating higher damages.

3.4 The Hotel is authorized to require reasonable down payment at any point in time. The amount of the down payment and the date of payment may be laid down in the contract.

Article 4. Alteration of Attendance and Timetable

4.1 If the definite number of participants varies by 5% from the original number reserved for the banquet service must be advised of the change at least 3 working days prior to the event. The change in number requires the hotel's consent.

4.2 If the definite number of participants exceeds the original number, the price calculation is based on the definite number. In general the calculation is based on the number of participants known to the Hotel 2 days prior to the event.

4.3 If the number of participants is 10% (or more) less than the original number 3 days prior to the event, the Hotel has the right to alter the price agreed and to provide any other room than the one reserved.

4.4 In the absence of the Hotel's written consent concerning the event's beginning and ending, being different from the timetable agreed, the Hotel may charge the Organizer stand-by cost of the Hotel's services.

Article 5. Control over the Fulfillment of the contract

5.1 Control over the Fulfillment of the obligations stipulated under this Contract by the Customer Shall be provided by the specially authorized person- Mrs. Natali Aslamadze Head of International Relations Department.

Article 6. Technical Equipment and Installations

6.1 If the Hotel procures technical or other installations for the event from third parties, it is doing so on behalf and on the expense of the Organizer. The Organizer is obliged to treat the equipment carefully and to return it properly. The Organizer exonerates the Hotel of any claim by third parties arising of the use of the appliances.

6.2 The installation of any electrical equipment belonging to the Organizer, which requires the connection to the Hotel's electricity supply system, needs the Hotel's written consent. The Organizer is liable for any disturbances or damages of the Hotel's installations caused by operating his/her equipment, unless the Hotel is to be held responsible for the damage. The Organizer may be charged with a flat rate for consumption.

6.3 The Organizer is allowed to use his/her own telephone, fax and data transmission equipment upon prior written consent of the Hotel. The Hotel has a claim to the installation fee.

6.4 If the Organizer prefers his/her own technical equipment to the Hotel's equipment despite this being suitable for the event, the Hotel may charge a fee for the loss of not using it.

6.5 Any fault on technical or other equipment provided by the Hotel shall be repaired immediately if possible. The Organizer is not entitled to claim for a deduction in payment or delay the payment if the Hotel is not responsible for the faults

Article 7. Miscellaneous

7.1 The Agreements which deviate from, or are additional to the contract or these terms and conditions must be in writing. Any amendments made unilaterally by the operator are null and void.

7.2 Any message destined for the Hotel's customers is regarded as received 3 days after being posted to the current address known to the Hotel. Messages sent via fax are regarded as received according to the journal.

7.3 If any of the above conditions is inoperative or void for the organizer, this does not impair the validity the validity of the remaining terms and conditions. The condition void shall be replaced by the most applicable condition instead. The same procedure must be applied to any circumstances that are not covered in the contract.

7.4 The Services must be provided until May 25, 2016 from 11:00 to May 25, 2016 15:00 By the Hotel.

7.5 This contract shall become effective from the date indicated on the top of this Contract and shall remain in force until 26th of June.

Article 8. Force Majeure and Applicable Law

8.1 For the purposes of this article the force majeure means the circumstances out of the control and unpreventable by the parties, not resulted in any mistake or negligence by the parties but being unforeseeable in its nature. Such circumstances may be resulted in war, disaster, epidemics, quarantine etc.

8.2 On case of occurrence of force majeure circumstance the contracting party prevented fulfill the undertaken obligation will immediately send to the other party written notification about such circumstance and its reasons.

8.3 Any and all disputes in connection with the present Agreement will be settled in the way of negotiation;

8.4 In case if the parties fail to reach agreement on disputed issues within 30 (thirty) days after the commencement of such negotiations, either Party may duly apply to the court of Georgia.

Article 9. Legal addresses and Bank Details of the Parties

Sakaeronavigatsia" Ltd

Tbilisi International Airport,
0198, Georgia
Tel: +995 32 744212
www.airnav.ge
E-mail: office@airnav.ge
Bank "REPUBLIC" Tbilisi, Georgia
IBAN #: GE69BR0000000005467067 GEL



Gocha Mezvrishvili

Director General

City Loft LLC

14, Kostava Str.,
0108 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2020099
www.roomshotels.com
E-mail: mariam.lashauri@roomshotels.com
Bank of Georgia – BAGAGE 22,
Acc. N- GE81BG0000000084654590



Levan Berulava

Manager General

ხელშეკრულება № მომს/23/05/16

გაფორმდა 2016 წლის 25 მაისს შემდეგ მხარეებს შორის

შპს „საქაერონავიგაცია“ (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, აეროპორტი 0198, საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნი გოჩა მეზვრიშვილის სახით, ერთის მხრივ (შემდგომში წოდებული, როგორც „დამკვეთი“),

და

შპს „სითი ლოჯტი“ (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 14, საიდენტიფიკაციო კოდი: 404909934), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბ-ნი ლევან ბერულავას სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში წოდებული, როგორც „სასტუმრო“),

შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა: გამარტივებული შესყიდვა, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. სასტუმრო კისრულობს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს საბანკეტო და ღონისძიების მომსახურებას სტანდარტული საკვებისა და სასმელის პაკეტით დამკვეთის მიმართ №1 დანართის შესაბამისად (ბანკეტისა და ღონისძიების შესახებ წინადადება) 2016 წლის 25 მაისს 11:00 საათიდან 15:00 საათამდე.
- 1.2. CPV კოდი: №55120000.
- 1.3. დამკვეთის შესყიდვის სარეგისტრაციო მოთხოვნა: №2016-16.

მუხლი 2. ზოგადი პირობები და ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3351.20 ლარს (სამიათას სამას ორმოცდათერთმეტ ლარსა და ოც თეთრს).
- 2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადასახდელი და ხარჯი.
- 2.3. ყოველი მითითებული ღირებულება ექვემდებარება 18% დღგ-ს, გარდა კონკრეტულად განსაზღვრული შემთხვევებისა. საქართველოს მთავრობის მიერ მოქმედი გადასახადების ცვლილების შემთხვევაში, სასტუმრო ინარჩუნებს უფლებას, რომ შესაბამისად შეცვალოს მისი ტარიფებიც.
- 2.4. წინამდებარე პირობები ვრცელდება ღონისძიების ჩატარების მიზნით სასტუმროს კუთვნილი საკონფერენციო, ტრეინინგისა და საბანკეტო დარბაზების დაქირავებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე. ისინი აგრეთვე მოქმედებს აღნიშნულთან დაკავშირებული მომსახურებებისა და მიწოდებების მიმართ.

- 2.5. არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება საკონფერენციო დარბაზების, ფასადების ან ვიტრინების დაქირავება, არ შეიძლება მოსაწვევების გაგზავნა გასაუბრებებისთვის, გაყიდვა-გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებებისთვის მესამე მხარეების მიმართ, სასტუმროს წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 2.6. ორგანიზატორის მიერ წარმოდგენილ პირობებს არ ექნება კანონიერი ძალა, სანამ არ შეთანხმდება გარკვევით, წერილობითი ფორმით.

მუხლი 3. ანგარიშსწორების პირობები

- 3.1. სასტუმრო კისრულობს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს დამკვეთი მხარის მიერ შეკვეთილი მომსახურების გაწევას ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების თანახმად. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება მის მიერ სასტუმროს ინვოისის მიღებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 3.2. ინვოისით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მასში მითითებული ვადის დადგომის დღეს ან ინვოისის გაცემის თარიღიდან 10 დღის ვადაში, ყოველგვარი დაქვითვის გარეშე.
- 3.3. დამკვეთის მიერ ინვოისით გათვალისწინებული თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, სასტუმრო უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო 0.1 %-ის ოდენობით ყოველი იმ თვისთვის, როდესაც არ მოხდება ინვოისის გადახდა. ორგანიზატორი უფლებამოსილია წარმოადგინოს მტკიცებულება უმნიშვნელო ზარალის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, სასტუმრომ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება მნიშვნელოვანი ზარალის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.
- 3.4. სასტუმრო უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი პირველადი შენატანის ანგარიშსწორება ნებისმიერ დროს. პირველადი შენატანის თანხა და ანგარიშსწორების თარიღი მითითებულია ხელშეკრულებაში.

მუხლი 4. ღონისძებაზე დასწრებისა და განრიგის შეცვლა

- 4.1. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეების განსაზღვრული რაოდენობა 5%-ით განსხვავდება საბანკეტო მომსახურებისთვის რეზერვირებული თავდაპირველი რაოდენობისგან, აღნიშნული ცვლილების შესახებ უნდა ეცნობოს სასტუმროს ღონისძიებამდე მინიმუმ 3 სამუშაო დღით ადრე. მონაწილეების რაოდენობაში ცვლილება საჭიროებს სასტუმროს თანხმობას.
- 4.2. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეების განსაზღვრული რაოდენობა აღემატება თავდაპირველ რაოდენობას, ფასის კალკულაცია მოხდება განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით. ზოგადად, კალკულაცია სრულდება ღონისძიების ჩატარებამდე 2 დღით ადრე სასტუმროსთვის ცნობილი მონაწილეების რაოდენობის მიხედვით.

- 4.3. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეების რაოდენობა ღონისძიების ჩატარებამდე 3 დღით ადრე 10%-ით (ან მეტით) ნაკლები იქნება თავდაპირველ რაოდენობაზე, სასტუმროს უფლება აქვს შეცვალოს შეთანხმებული ფასი და უზრუნველყოს დაჯავშნილი ოთახისგან განსხვავებული ოთახი.
- 4.4. ღონისძიების დაწყებისა და დასრულების დროის შეთანხმებული განრიგისგან განსხვავებასთან დაკავშირებით სასტუმროს წერილობითი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, სასტუმროს შეუძლია დაარიცხოს ორგანიზატორს სასტუმროს მომსახურების სარეზერვო ხარჯი.

მუხლი 5. კონტროლი ხელშეკრულების სისრულეში მოყვანაზე

- 5.1. დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისრულეში მოყვანაზე კონტროლს უზრუნველყოფს საგანგებოდ უფლებამოსილი პირი – ქ-ნი ნატალი ასლამაძე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 6. ტექნიკური მოწყობილობები და დანადგარები

- 6.1. იმ შემთხვევაში, თუ სასტუმრო შეისყიდის ტექნიკურ ან სხვა სახის დანადგარებს ღონისძიებისთვის მესამე მხარეებისგან, აღნიშნული სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი ორგანიზატორის სახელით და მისი ხარჯით. ორგანიზატორი ვალდებულია სიფრთხილით მოეპყროს მოწყობილობებს და დააბრუნოს ისინი სათანადო მდგომარეობაში. ორგანიზატორი ათავისუფლებს სასტუმროს მესამე მხარეების მიერ წარდგენილი ნებისმიერი პრეტენზიისგან, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- 6.2. ორგანიზატორის კუთვნილი ელექტრო მოწყობილობების მონტაჟი, რომლებიც უნდა მიუერთდეს სასტუმროს ელექტრომომარაგების სისტემას, საჭიროებს სასტუმროს წერილობით თანხმობას. ორგანიზატორი პასუხს აგებს ნებისმიერ ზიანზე, რომელიც მიადგება სასტუმროს დანადგარებს მისი მოწყობილობების ოპერირების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება სასტუმროს. ორგანიზატორს დაერიცხება სტანდარტული ღირებულება მოხმარებისთვის.
- 6.3. ორგანიზატორს უფლება ექნება ისარგებლოს საკუთარი ტელეფონით, ფაქსითა და მონაცემების გადაცემის მოწყობილობებით სასტუმროს წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. სასტუმრო მოითხოვს ინსტალაციის საფასურს.
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორი სასტუმროს მოწყობილობას ამჯობინებს მის საკუთარ ტექნიკურ მოწყობილობას, მიუხედავად მისი ვარგისობისა ღონისძიებისთვის, სასტუმროს შეუძლია დააკისროს საზღაური მისი გამოუყენებლობის შედეგად წარმოშობილ ზარალზე.

- 6.5. სასტუმროს მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ ტექნიკურ ან სხვა მოწყობილობებთან დაკავშირებით წარმოშობილი ხარვეზი უნდა შეკეთდეს დაუყოვნებლივ, შესაძლებლობის შემთხვევაში. ორგანიზატორი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ღირებულების დაქვითვა ან ღირებულების ანგარიშსწორების გადავადება იმ შემთხვევაში, თუ სასტუმრო პასუხს არ აგებს ხარვეზზე.

მუხლი 7. სხვა პირობები

- 7.1. შეთანხმებები, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მისი პირობებიდან გადახვევას ან დამატებას, უნდა შესრულდეს წერილობით. ოპერატორის მიერ ცალმხრივად განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება ბათილად.
- 7.2. სასტუმროს მომხმარებლების მიმართ წარმოდგენილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად სასტუმროსთვის ცნობილ მიმდინარე მისამართზე გაგზავნიდან 3 დღეში. ფაქსით გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება მიღებულად ჟურნალის შესაბამისად.
- 7.3. რომელიმე ზემოაღნიშნული პირობის უმოქმედობის ან ბათილობის შემთხვევაში ორგანიზატორის მიმართ, აღნიშნული არ მოახდენს ხელშეკრულების დანარჩენი პირობების გაბათილებას. ბათილი პირობა უნდა ჩანაცვლდეს ყველაზე მისაღები პირობით. იგივე პროცედურა უნდა იქნას გამოყენებული იმ ნებისმიერი გარემოების მიმართ, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში.
- 7.4. სასტუმრომ უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2016 წლის 25 მაისის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე.
- 7.5. აღნიშნული ხელშეკრულება კანონიერ ძალაში შედის მის დასაწყისში მითითებულ დღეს და მოქმედებს 26 ივნისამდე.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი და მოქმედი კანონმდებლობა

- 8.1. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, "ფორს-მაჟორი" ნიშნავს ნებისმიერ გარემოებას, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია და არ ექვემდებარება მხარეების კონტროლს, არ არის გამოწვეული რომელიმე მხარის შეცდომით ან დაუდევრობით და რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია. აღნიშნული გარემოებები შესაძლებელია გამოწვეული იყოს ომით, ბუნებრივი კატასტროფით, ეპიდემიით, კარანტინით და ა.შ.
- 8.2. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ, რომელსაც ხელი შეეშლება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, დაუყოვნებლივ უნდა აუწყოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოებისა და მისი მიზეზების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით.
- 8.3. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას სადავო საკითხთან დაკავშირებით ურთიერთმოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, თითოეულ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 9. მხარეთა იურიდიული მიმსამართები და საბანკო რეკვიზიტები

შპს „საქაერონავიგაცია“

საქართველო, 0198,
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: +995 32 744212
www.airnav.ge
ელ-ფოსტა: office@airnav.ge
ბანკი „რესპუბლიკა“,
თბილისი, საქართველო
IBAN №: GE69BR0000000005467067 ლარი

შპს „სითი ლოფტი“

საქართველო, ქ. თბილისი
კოსტავას ქ. 13
ტელ: +995 32 2020099
www.roomshotels.com
ელ-ფოსტა: mariam.lashauri@roomshotels.com
„საქართველოს ბანკი“ - BAGAGE 22
ანგ. № GE81BG000000084654590

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი

ლევან ბერულავა
გენერალური მენეჯერი

Translator: Eter Nozadze
მთარგმნელი: ეთერ ნოზაძე

Eter Nozadze
ელ ნოზაძე



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N160577418



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

31.05.2016 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

დავით ოყროშიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

995322745001

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

39189515479116



მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ეთერ ნოზაძის (დაბადებული 12.12.1983, ქ. ხაშურში, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. #26, ბინა 27, პირადი #57001012113) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე თარგმანზე ინგლისურიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი AA#000101, გაც. 2006წ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო #335 (ინახება ჩემს არქივში) და ნოტარიუსის წინაშე დაადასტურა თარგმანის სისწორე. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის: 2.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 0.36 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა;

ნოტარიუსი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველოს იუსტიციის
სისტემის საერთაშორისო
სამართლებრივი ცენტრი



[Handwritten signature in blue ink]